

ინდოელი სტუდენტების ქართული ყოველდღიურობა  
(ევროპის უნივერსიტეტის ინდოელი სტუდენტების მაგალითზე)

ანა ყულოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: სოციოლოგია

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი ელენე გავაშელიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## **განაცხადი**

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ყულოშვილი

26.06.2019

## აბსტრაქტი

ბოლო წლებში საქართველოში უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტების სიჭარბე შეინიშნება. ემიგრანტი სტუდენტების ყველაზე დიდი წილი ინდოელ სტუდენტებზე მოდის, რომელთა საერთო რაოდენობაც თითქმის ექვსი ათასია. ინდოელი სტუდენტების ქართული ყოველდღიურობა სავსეა გამოწვევებით და ადაპტაციასთან დაკავშირებული დაბრკოლებებით. წინამდებარე კვლევა დაკვირვებისა და ინდოელ სტუდენტებთან უშუალო კომუნიკაციის საფუძველზე აჩვენებს, თუ რა ფაქტორები განაპირობებს მათი მხრიდან სამშობლოს დატოვების და განათლების მისაღებად მიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილების მიღებას, რატომ ირჩევენ საქართველოს, როგორი წინასწარი მოლოდინები აქვთ ჩვენი ქვეყნის შესახებ, როგორია მათი ქართული ყოველდღიურობა, რა გზებით უძლავდებიან აქ არსებულ გამოწვევებს (ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები) და როგორია მათი სამომავლო გეგმები. ასევე კვლევა აჩვენებს იმ ქართველი სტუდენტების ხედვას, რომლებსაც საერთო საუნივერსიტეტო სივრცის გამო ხშირად უწევთ ინდოელ სტუდენტებთან ინტერაქცია.

კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა მიგრანტი სტუდენტების შესახებ არსებული ლიტერატურა, სტატისტიკური მასალები, უცხოელი სტუდენტების მიმღებლობასა და მათ ინტეგრაციასთან დაკავშირებული კვლევების შედეგები. თვისებრივი კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა როგორც ინდოელ, ასევე ქართველ სტუდენტებთან.

კვლევის შედეგების თანახმად, ინდოელი სტუდენტები საქართველოში განათლების მიღებას უსაფრთხო გარემოს, ხელსაყრელი სასწავლო პირობებისა და დაბალი გადასახადის გამო ირჩევენ. მათი ზოგადი შეფასება პოზიტიური ხასიათისაა, თუმცა როგორც კვლევისას აღმოჩნდა, ინდოელ სტუდენტებს ძირითადად ენის ბარიერთან და კვებასთან დაკავშირებული პრობლემები ექმნებათ. ქართველებთან ინტეგრაციის პროცესში მათთვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს უფროსი თაობის ადამიანების

რასისტული განწყობები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერკულტურული გარემო სხვადასხვაგვარად არის აღქმული ქართველი და უცხოელი სტუდენტების მიერ. ინდოელი სტუდენტები გაცილებით მეტ მიმღებლობას ამჟღავნებენ ქართველი სტუდენტების მიმართ, ვიდრე პირიქით.

კვლევა გამოყენებითი ხასიათისაა, რადგან მისი შედეგების ანალიზით შესაძლებელი გახდება უცხოელი სტუდენტების საქართველოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ხარვეზებისა და პრობლემების აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმების დანერგვა. კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საინტერესო იქნება მკვლევარებისთვის ან არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ანალოგიურ საკითხებზე მუშაობენ ან სამომავლოდ გეგმავენ მუშაობას, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის. ჩატარებული კვლევის შედეგები დაეხმარება მიგრანტების საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო აპარატს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** *მიგრაცია, ინდოელი სტუდენტები, ინტეგრაცია. მიმღებლობა, ინტერკულტურული გარემო, ქართული ყოველდღიურობა*

## Abstract

In Georgia, there are a lot of students from foreign countries. The largest number of students arrives from India. Their total number is almost 6 thousand. Their Georgian daily life is full of new challenges, obstacles relating to adaptation , etc. The history of each of them is different. It is interesting to know why they are choosing to get education in Georgia, what kind of preferences they have on our country, what their daily life is like and how they deal with the challenges here.

This research is an opportunity to get full information based on attempts, observation and direct communication with Indian students about how is their life in Georgia and in what aspect the issue needs the fastest react and response. Within the study there was examined what factors lead to Indian students to make the decision of migration from their country to another country to get the higher education , what their Georgian everyday life is like and what are the main challenges they are facing (integration-related issues) and how are their future plans, are they connected to Georgia or not.

During the study, there were used the existing literature about migration and migrant international foreign students, statistical materials, the results of the existing researches about acceptance of foreign students and their integration. Within the framework of qualitative research, there were conducted in-depth interviews with respondents with pre-organized questionnaires. I interviewed both Indian and Georgian students.

The study showed that Indian students select Georgia for the education due to its safe environment, favorable learning conditions and low taxes. Their overall and general opinion about Georgian daily life is positive. As it turned out, they have problems related to language barrier and nutrition. In the process of integration with the Georgian people, the big obstacle is the racist attitudes of older people.

As a result of the study, it was established that the intercultural environment, created in the higher education institutions, is perceived differently by Georgian and foreign students. In a

multicultural environment, foreign students show greater tolerance, humanity and acceptance towards Georgian students than Georgian students.

According to the analysis of the results of the research it will be possible to establish effective mechanisms to eliminate the problems and the gaps related to the integration of foreign students in Georgia and correction of the behavior of the Georgian society. The conclusions obtained from the research will be interesting for other researchers or NGOs who work on the same issues or are planning to work in the future, as well as for those who are simply interested in the issue. The results of the conducted survey will help the organizations who work on issues of migrants.

**Keywords:** *Migration, migrant students in Georgia. Integration. Acceptance. Intercultural environment, multicultural environment. Indian students. Georgian daily life.*

## მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ელენე გავაშელიშვილს, დათმობილი დროისა და ენერჯისთვის. მისი რჩევების, დაკვალიანების, სამუშაო პროცესში აქტიური ჩართულობისა და თანადგომის გარეშე გამიჭირდებოდა ნაშრომზე ნაყოფიერი მუშაობა და მისი დასრულება მოცემულ ვადებში.

მადლობა ჩემს ყველაზე ერთგულ და საყვარელ გულშემატკივარს – ჩემს ოჯახს, რომლის თანადგომასაც და სტიმულის მომცემ გამხნევებასაც სულ ვგრძნობდი მუშაობის პროცესში. მადლობა ჩემს მეგობარს, ჯგუფელსა და კოლეგას, თინათინ პავლიაშვილს, რომელიც, ჩემსავით სტრესულ სიტუაციაში, პარალელურად საკუთარ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის მზად იყო კრიტიკულ წუთებში ჩემი დახმარებისთვის და გამხნეებისთვის. ერთმანეთისთვის რჩევების გაზიარებამ, ვფიქრობ, ორივეს სასარგებლო სამსახური გაგვიწია.

მადლობას ვუხდით ჩემს რესპოდენტებს, ევროპის უნივერსიტეტის ინდოელ და ქართველ სტუდენტებს, რომლებიც შეეცადნენ მაქსიმალურად გულწრფელად გადმოეცათ სათქმელი და გაეზიარებინათ საკუთარი შთაბეჭდილებები. ინდოელი სტუდენტების მონათხრობი ძალიან სენსიტიური აღმოჩნდა ჩემთვის და მაგრძნობინა ვალდებულება და პასუხისმგებლობა იმისა, რომ სწორად, შეულამაზებლად და დაუმახინჯებლად გადმომეცა მათი ისტორიები. იმედი მაქვს ეს შევძელი და ჩემი ნაშრომი მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცემ მათ ქართულ რეალობას.